შემნახველი საწარმოს სტანდარტები

შემნახველი საწარმოს შენობა-ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია

1. შემნახველი საწარმოსთვის განკუთვნილი კაპიტალური შენობა-ნაგებობის ან/და კონსტრუქციის შესანახი საკნები შეფუთული უნდა წყალგაუმტარი და გლუვი ზედაპირით, რომელიც უზრუნველყოფს თბოიზოლაციას, მაგალითად პოლიურეთანის სენდვიჩის ფილებით ან კონსტრუქციაზე დამაგრებული პოლიურეთანის სენდვიჩის ფილებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს პოლისტიროლიც.
2. შემნახველი საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის ჰიგიენის ზოგად პრინციპებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილების შესაბამისად.
3. სავალი ბილიკები, შიდა სამანქანო გზები და პარკირების ადგილები უნდა იყოს მობეტონებული ან მოკირწყლული, არ უნდა შეინიშნებოდეს წყლის გუბეები.
4. შემნახველ საწარმოში გათვალისწინებული უნდა იყოს: სველი წერტილები, სადეზინფექციო ბარიერი, საშხაპეები და გასახდელები.
5. შემნახველი საწარმო უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლისა და დენის წყაროთი.
6. შემნახველი საწარმოს იატაკი მოწყობილი უნდა იყოს დამუშავებული ხელოვნური მყარი საფარით.
7. საწარმოს მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი.
8. შემნახველი საწარმოსათვის შერჩეულ მიწის ნაკვეთთან უნდა იყოს შესაძლებელი სატვირთო ავტომობილის მისვლა.

შემნახველი საწარმოს მოწყობილობები:

1. შემნახველი საწარმოს სამაცივრე საწყობი საჭიროების მიხედვით უნდა იყოს შესაბამისი აგრეგატებით უზრუნველყოფილი, რომელიც შენობაში შექმნის საჭირო ტემპერატურული რეჟიმებს. შესაძლებელი უნდა იყოს საკანის(ების) ტემპერატურული რეჟიმისა და ტენიანობის ინდივიდუალური რეგულირება, რაც უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობას და სტაბილური ხარისხის შენარჩუნებას.
2. შემნახველი საწარმო აღჭურვილი უნდა იყოს არანაკლებ 500 კილოგრამიანი სასწორით (მათ შორის სატვირთო საშუალებაზე არსებული სასწორი).
3. შემნახველი საწარმოს საკანს(ებს) არ უნდა ჰქონდეს ფანჯრები.
4. შემნახველი საწარმოს მშრალი საწყობი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ვენტილაციას და ჰაერის ნაკადის მოძრაობას.

მარცვლეულის შემნახველი საწარმოს დამატებითიო სტანდარტები

1. მარცვლეულის შემნახველი საწარმოსთვის გამოყოფილი ტერიტორია უნდა იყოს მშრალი, არ უნდა იტბორებოდეს.
2. მარცვლეულის შემნახველმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს მარცვლეულის დაცვა ატმოსფერული ნალექების, გრუნტის და ზედაპირული წყლისაგან, მღრნელების და ფრინველებისაგან.
3. მარცვლეულის შემნახველი საწარმო შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მიწისზედა, ასევე ნახევრად მიწისქვეშა ნაგებობას.
4. შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელი უნდა იყოს დატვირთული მანქანის მოძრაობა.
5. მარცვლეულის შემნახველი საწარმოს იატაკი მოწყობილი უნდა იყოს დაბალი თბოგამტარებლობის მქონე მასალისაგან, რათა გამოირიცხოს კონდესატის შემთხვევა და დაცული იყოს გრუნტის წყლების შეღწევისგან.
6. მარცვლის შემნახველი საწარმოს კედლები უნდა იყოს სწორი, შიდა ზედაპირით ნაპრალების და ბზარების გარეშე.
7. ყველა ტიპის მარცვლის შემნახველ საწარმოში ყრილის ზედაპირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ვენტილაციის შესაძლებლობით, სავენტილაციო არხები დაცული უნდა იყოს ისეთი მეტალის ბადით, რომელიც გამორიცხავს ფრინველების და მღრნელების შეღწევის შესაძლებლობას.
8. ყრილის მაქსიმალური სიმაღლე, სამრეწველო და საფურაჟე მშრალი, ასევე ნახევრად მშრალი მარცვლისთვის არ უნდა იყოს 5 მეტრზე მეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
9. მარცვლეულის შემნახველ საწარმოში გათვალისწინებული უნდა იყოს დერეფანი, რომლის სიგანემ უნდა უზრუნველყოს მექანიზაციის გადაადგილება.

10. მარცვლეულის შემნახველი საწარმო უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელოვნური ან ბუნებრივი განათებით.
11. მარცვლის ბუნებრივი შრობისთვის განკუთვნილი დახურული ტიპის სივრცის ფართობი უნდა იყოს მარცვლის საცავის ფართობის არანაკლებ 25% -ისა, ხოლო ღია სივრცის შემთხვევაში არანაკლებ 50%-სა.
12. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარცვლის აერაცია მარცვლის ჩაყრის წინ.
13. მარცვლეულის შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული უნდა იყოს დაბალი ფარდობითი ტენიანობა (60-75%).
14. მარცვლის შესანახ საწარმოს უნდა გააჩნდეს მიმღებ-გამშვები მოწყობილობები, მარცვლის საშრობი, საწმენდი კოშკები.
15. მარცვალი შეიძლება განთავსებული იყოს როგორც ყრილის სახით, ასევე - დაფასოებული.

მარცვლის შემნახველი საწარმოს სარეკომენდაციო ძირითადი აღჭურვილობა

1. მარცვლის გამწმენდი (სეპარატორი) დანადგარი და მაგნიტური სვეტები;
2. მარცვლის ტენიანიანობის 14% -მდე შესამცირებლად და შრობის პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო საშრობები;
3. გამწმენდი შნეკი;
4. მარცვლის საცავი აღჭურვილი უნდა იყოს აქტიური ვენტილაციის სისტემებით. დანადგარების სიმძლავრე შესაბამისობაში უნდა იყოს შესანახი მარცვლის რაოდენობასთან;
5. მარცვლის ფენის სისქის (დონის)ინდიკატორი;
6. ტენმზომი;